WORLD BIBLE
LEARNING CENTER

# ეკლესიის სერია
# The Church Series

## გაკვეთილი მესამე

## Lesson Three

**როგორ ამოვიცნოთ ეკლესია - იდენტიფიცირების ნიმუში**
**How to Identify the Church – Identify the Pattern**

**ეკლესიის ყველაზე მნიშვნელოვანი იდენტიფიკატორია სწავლების ნიმუში, რომელსაც მივყავართ ხსნამდე.**
**The Most Important Identifier of the Church is the Pattern of Teaching that Leads to Salvation.**

**რომაელთა მიმართ 6:17-18**
**Romans 6:17-18**
*ხოლო მადლობა ღმერთს, რომ თქვენ, ადრე ცოდვის მონები, შემდგომ გულით*
*დაემორჩილეთ **იმ სახის მოძღვრებას,** რომელსაც თქვენი თავი გადაეცით.*
*18გათავისუფლდით რა ცოდვისაგან, სიმართლის მონები გახდით.*

*But thanks be to God, that you who were once slaves of sin have become obedient from the heart to the **standard of teaching** to which you were committed, [18] and, having been set free from sin, have become slaves of righteousness.*

პავლე მადლიერია, რომ რომის ეკლესია დაემორჩილა სწავლების სტანდარტს - ღვთის სიტყვის გზავნილს და რომ ამით ისინი განთავისუფლდნენ ცოდვისაგან.
Paul is thankful that the Roman church obeyed the standard of teaching – the message of God's Word and that by doing so they were freed from sin.

**მოციქულთა საქმე 2:22-24,37-47 -** ისრაელიანებო, ისმინეთ ეს სიტყვები ... დაემატა ეკლესიას.
**Acts 2:22-24,37-47** – Men of Israel, hear these words… added to the church.

*კაცნო ისრაელიანნო, ისმინეთ ეს სიტყვები: იესო ნაზარეველი, კაცი, დამტკიცებული ღვთისაგან თქვენთვის ძალით, სასწაულებითა და ნიშნებით, რომლებიც ღმერთმა მოახდინა მისი ხელით თქვენს შორის, როგორც თვითონვე იცით, 23იგი, ღვთის განჩინებული ზრახვით და წინასწარცნობით გადაცემული, ურჯულოთა ხელით მიალურსმეთ და*

*მოკალით. 24მაგრამ ღმერთმა აღადგინა იგი, შეხსნა რა სიკვდილის ბორკილები, ვინაიდან სიკვდილი მას ვერ დააკავებდა.*
*37ეს რომ მოისმინეს, გულზე მოხვდათ და უთხრეს პეტრესა და დანარჩენ მოციქულებს: „როგორ მოვიქცეთ, კაცნო ძმანო?“ 38ხოლო პეტრემ: „მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს. 39ვინაიდან თქვენ გეკუთვნით აღთქმა, და თქვენს შვილებს და ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი, ღმერთი ჩვენი.“ 40და მრავალი სხვა სიტყვითაც უმოწმებდა, შეაგონებდა და ეუბნებოდა: იხსენით თავი ამ გარყვნილი მოდგმისაგანო. 41ამრიგად, ვინც მიიღო მისი სიტყვა, მოინათლნენ და იმ დღეს შეემატა სამი ათასამდე სული. 42და იყვნენ ისინი გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, თანამოზიარობაში, პურის გატეხასა და ლოცვებში. 43ყოველი სული შიშით იყო მოცული და მრავალი სასწაული და ნიშანი ხდებოდა მოციქულთა მიერ. 44ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ. 45ქონებას და სარჩო-საბადს ჰყიდდნენ და უნაწილებდნენ ყველას, საჭიროებისამებრ. 46დღენიადაგ ერთსულოვნად ტაძარში იმყოფებოდნენ, სახლებში ტეხდნენ პურს, იღებდნენ საზრდელს მხიარულებით და გულუბრალოებით. 47აქებდნენ ღმერთს და მთელი ხალხის თვალში მადლს ჰპოვებდნენ. უფალი კი ყოველ დღე უმატებდა დახსნილებს მათ რიცხვს.*

*"Men of Israel, hear these words: Jesus of Nazareth, a man attested to you by God with mighty works and wonders and signs that God did through him in your midst, as you yourselves know— 23 this Jesus, delivered up according to the definite plan and foreknowledge of God, you crucified and killed by the hands of lawless men. 24 God raised him up, loosing the pangs of death, because it was not possible for him to be held by it. Now when they heard this they were cut to the heart, and said to Peter and the rest of the apostles, "Brothers, what shall we do?" 38 And Peter said to them, "Repent and be baptized every one of you in the name of Jesus Christ for the forgiveness of your sins, and you will receive the gift of the Holy Spirit. 39 For the promise is for you and for your children and for all who are far off, everyone whom the Lord our God calls to himself." 40 And with many other words he bore witness and continued to exhort them, saying, "Save yourselves from this crooked generation." 41 So those who received his word were baptized, and there were added that day about three thousand souls.*
*42 And they devoted themselves to the apostles' teaching and the fellowship, to the breaking of bread and the prayers. 43 And awe came upon every soul, and many wonders and signs were being done through the apostles. 44 And all who believed were together and had all things in common. 45 And they were selling their possessions and belongings and distributing the proceeds to all, as any had need. 46 And day by day, attending the temple together and breaking bread in their homes, they received their food with glad and generous hearts, 47 praising God and having favor with all the people. And the Lord added to their number day by day those who were being saved.*

გამოიყენე ნიმუში (მოციქულთა საქმე 2)
**Apply the Pattern (Acts 2)**

- ყველამ ერთი და იგივე შეტყობინება მიიღო
- **All heard the same message**

- ყველას ერთნაირად სწამდა
- **All believed the same way**
- ყველამ ერთნაირად უპასუხა
- **All responded the same way**
- ყველამ ერთი და იგივე მიიღო
- **All received the same thing**
- ყველა ერთსა და იმავეს აკეთებდა
- **All did the same thing**
- ყველა ღმერთმა დაამატა ეკლესიას
- **All were added by God to the church**

სწავლების იგივე ნიმუში იწვევს ხსნას მაშინაც და ახლაც.
The same pattern of teaching leads to salvation then as it does now.

**2 პეტრე 1:3**
**2 Peter 1:3**
*ვისე, როგორც მისმა ღვთიურმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება, მისი ცოდნით, ვინც მოგვიწოდა თავის დიდებასა და სათნოებაში,*
*His divine power has granted to us all things that pertain to life and godliness, through the knowledge of him who called us to his own glory and excellence,*

**2 ტიმოთე 1:13**
**2 Timothy 1:13**
*ჩაეჭიდე საღი სიტყვების მაგალითს, რაც ჩემგან მოისმინე რწმენით და სიყვარულით, რაც ქრისტე იესოშია.*
*Follow the pattern of the sound words that you have heard from me, in the faith and love that are in Christ Jesus.*

**კითხვები:**
**Questions:**
**რას ვიღებთ ღვთისგან?**
**What do we receive from God?**
**როგორ?**
**How?**
**რა ვუყოთ ამ ცოდნას?**
**What are we to do with these words of knowledge?**

ღმერთმა მოგვცა ნიმუში და ეს არის ის, როგორიც მას სურს, ვიცხოვროთ და ვიყოთ როგორც ეკლესია.
God has given us the pattern and that pattern is the way He wants us to live and be as a church.

## ეკლესიის წინარედენომინაციური ბუნება
## The Pre-Denominational Nature of the Church

ეკლესია დაარსდა ასობით წლით ადრე, ვიდრე კონფესიები შეიქმნებოდა და გაიაზრებდნენ. The church was established hundreds of years before denominations were even created or thought of.

***დენომინაცია:** რაღაცის ტოტი ან მთელის ნაწილი. ეს სიტყვა არასოდეს არის ბიბლიაში და არც ის ცნებაა რომლის მხარდაჭერაც შეიძლება. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა თანამედროვე ეკლესია არის კონფესიის ნაწილი - ბაპტისტური, ლუთერანული, კათოლიკური და ა.შ. თუმცა ქრისტიანულ რელიგიაში არ არსებობს ჯგუფები. მას მხოლოდ ეკლესიად ასახელებენ. ბიბლია არ უჭერს მხარს იმ იდეას, რომ განშტოება და რაღაც განსხვავებულის კეთება, ვიდრე თავდაპირევლი ეკელსია აკეთებდა დასაშვებია.

***Denomination:** A branch of something or a part of a whole. The word is never in the Bible, nor is it a concept that can be supported. Yet almost every modern-day church is part of a denomination – Baptist, Lutheran, Catholic, etc. Yet there are no groups in the Christian religion. It is only stated as the church. The Bible does not support the idea of branching out and doing something different than what the original church did.

**ეფესელთა მიმართ 4:1-7** -დენომინაცია არ შეესაბამება ამ მონაკევთს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყოფს. ერთი უფალი, ერთი რწმენა, ერთი ნათლობა და ა.შ. იხილეთ **გამუქებული** სიტყვები.

**Ephesians 4:1-7** – denomination doesn't fit this passage otherwise it is dividing the ones. One Lord, one faith, one baptism, etc. See **bolded** words.

*1ამიტომ **შეგაგონებთ,** მე, პატიმარი უფალში, მოიქცეთ იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც*
*მოწოდებულნი ხართ, 2მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელებით*
*შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში. 3ეცადეთ **შეინარჩუნოთ სულის ერთობა** მშვიდობის*
*საკვრელით. 4ერთია სხეული და ერთია სული, როგორც ხართ კიდეც მოწოდებულნი*
*თქვენი მოწოდების **ერთ სასოებაში.** 5ერთია უფალი, ერთია რწმენა, **ერთია ნათლისღება,***
*6ერთია ღმერთი და მამა ყოველთა, რომელიც არის ყოველთა ზედა, ყველას მიერ და ყველა*
*ჩვენგანში. 7ხოლო ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის*
*ზომისამებრ.*

*I therefore, a prisoner for the Lord, **urge you** to walk in a manner worthy of the calling to*
*which you have been called, 2 with all humility and gentleness, with patience, bearing with*
*one another in love, 3 eager to **maintain the unity** of the Spirit in the bond of peace. 4 There*
*is **one body** and one Spirit—just as you were called to the one hope that belongs to your*
*call— 5 one Lord, **one faith**, **one baptism**, 6 one God and Father of all, who is over all and*
*through all and in all. 7 But grace was given to each one of us according to the measure of*
*Christ's gift.*

**რწმენა - ღმერთის სამყარო*
**Faith – Word of God*
**სხეული - ეკლესია (გადარჩენილი ხალხი)*

**Body – the church (people who are saved)*

**პირვანდელი ეკლესია ახ.წ 33 - დამფუძნებელი იყო იესო იერუსალიმში**
**Original Church 33AD – Originator was Jesus in Jerusalem**

ეკლესიები შეიქმნენ მოგვიანებით:
Churches created later:
ახ.წ 350 კათოლიკური - რომი
350 AD Catholic - Rome
ახ.წ 1054 მართლმადიდებლური - კონსტანტინოპოლი
1054 AD Orthodox - Turkey
ახ.წ 1517 პროტესტანტული რეფორმაცია
1517 Protestant Reformation

მარტინ ლუთერი - ლუთერანობა - გერმანია
Martin Luther – Lutheran - Germany
მენო სიმონსი - მენონიტი - შვეიცარია (1525)
Menno Simons – Mennonite – Switzerland (1525)
ჯონ სმიტი - ბაპტიზმი - ინგლისი (1609)
John Smyth – Baptist – England (1609)
ჯონ კალვინი და ჯონ კნოქსი - პრესბიტერიანობა
John Calvin and John Knox – Presbyterian
ჯონ ვესლი - მეთოდიზმი - ინგლისი
John Wesley – Methodist - England
ჯოზეფ სმიტი - მორმონიზმი - აშშ (1823)
Joseph Smith – Mormon – USA (1823)

ჩვენ გადარჩენილი ვართ და ვიქნებით, როცა მივყვებით პატერნს. ისინი, ვინც არ მისდევენ ნიმუშს, არ მიჰყვებიან ღმერთს და ღმერთის მიერ არ არიან აღიარებულნი, როგორც მისი.

We are saved and kept saved as we follow the pattern. Those who do not follow the pattern are not following God and are not recognized by God as his.

**ფაქტები დენომინაციის შესახებ**
**Facts about denominations**

- არაბიბლიური კონცეპტი
- Not a Biblical concept
- ბიბლიური პრეცედენტის გარეშე
- Without Biblical precedent
- ვერ აღწევს ეფესელთა 4:3 მიზანს - ვერ ინარჩუნებს ერთობას მშვიდობის კავშირის მეშვეობით.
- Fails to achieve the goal of Ephesians 4:3 – fails to keep unity through the bond of peace

ისინი არ არიან ახალი აღთქმის „წინა კონფესიური“ (კონფესიამდელი) ეკელსიები, რომელთაც უფალი უმატებს გადარჩენილებს.
They are not the “pre-denominational” (before denominations) church of the New Testament to which the Lord adds the saved.

თუ ჩვენ მუდმივად არ ვცდილობთ მივყვეთ ნიმუშს, ჩვენ არ ვართ ეკლესიის ნაწილი.
If we are not constantly striving to follow the pattern, we are not the church.

ასე რომ განვიხილოთ ბიბლიიდან
**So consider from the Bible**

მათეს სახარება **16:16-18**
**Matthew 16:16-18**
*სიმონ-პეტრემ უთხრა მას პასუხად: „შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა.“ 17მიუგო იესომ და უთხრა მას: „ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, ვინაიდან შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა, არამედ მამაჩემმა, რომელიც ცაშია. 18მეც გეუბნები შენ: შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე* ***ავაშენებ ჩემს*** *ეკლესიას და მას ვერ დაძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენი.*

*Simon Peter replied, “You are the Christ, the Son of the living God.” 17 And Jesus answered him, “Blessed are you, Simon Bar-Jonah! For flesh and blood has not revealed this to you, but my Father who is in heaven. 18 And I tell you, you are Peter, and on this rock I will* ***build my church****, and the gates of hell shall not prevail against it.*

რომაელთა მიმართ **16:16**
**Romans 16:16**
*მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით. მოკითხვას გითვლით ქრისტეს ყველა ეკლესია.*
*Greet one another with a holy kiss. All the* ***churches of Christ*** *greet you.*

კითხვა:
**Question:**
ვინ დააფუძნა ეკლესია და ვის ეკუთვნის იგი?
**Who started the church and who owns it?**

ლიკას სახარება **24:47**
**Luke 24:47**
*და მისი სახელით ნაქადაგები უნდა იყოს მონანიება ცოდვათა მისატევებლად ყველა ხალხში,* ***იერუსალიმიდან*** *მოყოლებული.*
*and that repentance for the forgiveness of sins should be proclaimed in his name to all nations, beginning from* ***Jerusalem****.*

მოციქულთა საქმე **2:1-5,14**
**Acts 2:1-5,14**

*1ორმოცდამეათე დღე რომ სრულდებოდა, ყველანი ერთად იყვნენ იმავე ადგილას. 2და*
*იქმნა მოულოდნელად ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო, და აავსო*
*მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ. 3და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს*
*ცეცხლისანი, და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს. 4ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და*
*იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ. 5ხოლო*
***იერუსალიმში** ცხოვრობდნენ იუდეველნი, ღვთის მოშიში კაცები, ყველა ხალხთაგან,*
*რომელნიც კი ცისქვეშეთში არიან.*
*14ხოლო თერთმეტთან ერთად მდგომი პეტრე წამოდგა, ხმა აღიმაღლა და უთხრა მათ:*
*„იუდეველნო და **იერუსალიმის** ყველა მკვიდრნო! იყოს ეს თქვენთვის ცნობილი და ყური*
*დაუგდეთ ჩემს სიტყვებს.*

*When the day of Pentecost arrived, they were all together in one place. 2 And suddenly there came from heaven a sound like a mighty rushing wind, and it filled the entire house where they were sitting. 3 And divided tongues as of fire appeared to them and rested on each one of them. 4 And they were all filled with the Holy Spirit and began to speak in other tongues as the Spirit gave them utterance.*
*5 Now there were dwelling in **Jerusalem** Jews, devout men from every nation under heaven.*
*But Peter, standing with the eleven, lifted up his voice and addressed them: "Men of Judea and all who dwell in **Jerusalem**, let this be known to you, and give ear to my words.*

**კითხვა:**
**Question:**
**საიდან დაიწყო?**
**Where was it to start and where did it start?**

შეადარეთ ის, სადაც ამჟამად თაყვანს სცემთ. როგორ ემთხვევა?
Compare that with where you currently worship. How does it match up?

## ბიბლია წინასწარმეტყველებს, რომ კაცები ჭეშმარიტებას მიატოვებენ და გაჩნდებოდა ახალი რწმენა და ეკლესიები
## The Bible Predicts that Men Would Leave the Truth and New Beliefs and Churches Would Arise

**მოციქულთა საქმე 20:28-30 -** პავლე ესაუბრება ეკლესიის უხუცესებს
**Acts 20:28-30** – Paul speaking to the church elders
*28გაუფრთხილდით თქვენს თავსაც და თქვენს სამწყსოსაც, რომლის მეთვალყურედაც*
*სულიწმიდამ დაგაყენათ, რათა მწყემსავდეთ ღვთის ეკლესიას, რომელიც მან საკუთარი*
*სისხლით შეიძინა. 29ვინაიდან მე ვიცი, რომ ჩემი წასვლის შემდეგ შემოგივარდებიან*
*ულმობელი მგლები, რომლებიც არ დაინდობენ სამწყსოს. 30და თქვენგანაც აღდგებიან*
*კაცები, რომლებიც უკუღმართად ილაპარაკებენ, რათა მოწაფეები გადაიბირონ.*

*Pay careful attention to yourselves and to all the flock, in which the Holy Spirit has made you overseers, to care for the church of God, which he obtained with his own blood. 29 I know*

*that after my departure fierce wolves will come in among you, not sparing the*
*flock; 30 and from among your own selves will arise men speaking twisted things, to draw*
*away the disciples after them.*

**1 ტიმოთეს მიმართ 4:1-5**
**1 Timothy 4:1-5**
*1ხოლო სული გარკვევით ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთები განდგებიან*
*რწმენისაგან, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს, 2თვალთმაქცობით*
*ცრუმეტყველთ, რომელთა სინდისიც დადაღულია, 3რომლებიც კრძალავენ შეუღლებას და*
*აიძულებენ თავშეკავებას საკვებისაგან, ღმერთმა რომ შექმნა, რათა მადლიერებით ჭამონ*
*ჭეშმარიტების მორწმუნეებმა და მცოდნეებმა. 4ვინაიდან ღვთის გაჩენილი ყოველივე*
*კარგია და არაფერია უარსაყოფი, თუ მადლიერებით იქნება მიღებული, 5რადგან იწმიდება*
*ღვთის სიტყვით და ლოცვით.*
*Now the Spirit expressly says that in later times some will depart from the faith by devoting*
*themselves to deceitful spirits and teachings of demons, 2 through the insincerity of liars*
*whose consciences are seared, 3 who forbid marriage and require abstinence from foods that*
*God created to be received with thanksgiving by those who believe and know the*
*truth. 4 For everything created by God is good, and nothing is to be rejected if it is received*
*with thanksgiving, 5 for it is made holy by the word of God and prayer.*

**კითხვები:**
**Questions:**
**რაზე აფრთხილებდა პავლე?**
**What did Paul warn about?**
**რას ამბობს პავლე, რომ ეს ხალხიც უძღვნის თავს?**
**What does Paul say these people are devoting themselves too?**

ეს ადამიანები, რომლებიც არ მიჰყვებიან ღმერთს და ასწავლიან ხალხს სხვა რამეს გარდა იმისა, რასაც ბიბლია ასწავლის, არა მხოლოდ ცდებიან, არამედ აიძულებენ ხალხს რწმენის მიტოვებას, სამაგიეროდ ეძღვნებიან/მიჰყვებიან დემონებს და არან მგლები.

These people who don't follow God and teach people other things besides what the Bible teaches are not only wrong, but causing people to leave the faith, are devoting/following demons instead, and are wolves.

**როგორ დავრწმუნდეთ რომ ეს თქვენ არ დაგემართებათ?**
**How can we be sure this doesn't happen to you?**

## დასკვნა
## Conclusion

რა არის ეკლესია?
What is the church?

რა არის მისი საიდენტიფიკაციო ნიშნები?

What are its identifying marks?

- ეს ხალხია, და არა შენობები. ეს არის ხალხი, რომელიც ეკუთვნის თავად ქრისტეს.
- It is people, not buildings.  It is people that belong to Christ Himself.
- ამ ხალხმა მუხლი მოიდრიკა მეფე იესოს წინაშე ნათლობისას მისი აღთქმის პირობების დაცვით.
- These people have bowed the knee to King Jesus by obeying the terms of His Covenant in baptism.
- ეს ხალხი არაფერს შეერთებია. ღმერთმა ისინი დაამატა იესოს აშენებულ ეკელსიას.
- These people didn't join anything.  God added them to the church that Jesus built.
- ადამიანები, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია. სხვა ადამიანებს შეუძლიათ ამ ადამიანების იდენტიფიცირება, როგორც მათ, ვინც ეს გააკეთეს და განაგრძეს იმის პრაქტიკა, რაც სასიამოვნოა მეფე იესოსტვის.
- People who can be identified. Other people can identify these people as those who have done this and continue to practice that which is pleasing to King Jesus.
- ისინი ღვთის გადარჩენილი ხალხია. ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია ამ გადარჩენილი ადამიანების ამოცნობა, ჩვენ გვეძლევა საშუალება ამოვიცნოთ დაკარგული ადამიანები, რაც საშუალებას გვაძლევს გავაგრძელოთ იესოს საქმიანობა დედამიწაზე დაკარგულის ძიებასა და გადარჩენაში.
- They are saved people of God. Since we can identify these saved people, we are then enabled to identify lost people, which enables us to continue Jesus' work on earth of seeking and saving the lost.

ვისთან გვჭირდება თაყვანისცემა? ვინც ღმერთმა აღიარა, დაუმატა მას და გამოავლინა გადარჩენილები. ქრისტეს პატარძალი.

Who do we need to worship with? The ones recognized by God, added to him, and identified as saved. The bride of Christ.

ვისთან ერთად არ უნდა ვეთაყვანოთ? ისინი, ვინც ღმერთმა არ აღიარა, ისინი, ვინც არ დაემატა ან არ დაადგინა, როგორც გადარჩენილი. ვინც არ არის იესოს პატარძალი და არა არის მისი.

Who do should we not worship with? Those not recognized by God, those not added or identified as saved. Those who are not Jesus' bride and not his.

შეადგინეთ ეკლესიის აბსოლუტების სია. როგორც თქვენ დამოუკიდებლად სწავლობთ ახალ აღთქმას.
Make a list of absolutes for the church. As you study through the New Testament on your own.
ვინ არის ავტორიტეტი?
Who is the authority?

როგორ გავუფრთხილდე ავტორიტეტს?
How do I heed the authority?
რა არის ეკლესიის აბსოლუტები?
What are the absolutes of the church?
რისი უნდა სწამდეს და პრაქტიკაში იყოს ეკლესია, რომელიც ქრისტემ ააგო?
What must the church believe and practice to be the church that Christ built?